KA030172736269818

№ 01-1766 **29 / იანვარი / 2018 წ.**

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსს, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ქალბატონ სოფიკო ბელქანიას

ქალბატონო სოფიკო,

სოციალური დაცვის დეპარტამენტმა განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 5 იანვრის № 01-195 წერილი, რომელიც „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ სამთავრობო პროგრამის 2017 წლის შესრულების ანგარიშისა და სამომავლო გეგმების თაობაზე ინფორმაციის წარდგენას. კომპეტენციის ფარგლებში, გაცნობებთ, შემდეგს:

3.1. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

3.1.2. სოციალური დაცვა

საჭიროებაზე დაფუძნებული მიზნობრივი სოციალური პოლიტიკისა და ოჯახების მეთოდოლოგიის დახვეწის მიზნით მსოფლიო ბანკისა და გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით შემუშავდა და დაინერგა სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგია, რომელიც უკეთ ასახავს ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებს. ახალი მეთოდოლოგიით შემოღებულ იქნა სოციალური დახმარების დიფერენცირებული სისტემა და ბავშვის ბენეფიტი, შესაბამისად, უფრო მეტ დახმარებას იღებს ის ოჯახი, რომელიც უფრო მეტად საჭიროებს დახმარებას სახელმწიფოსგან.

2017 წლის განმავლობაში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა შეადგენდა საშუალოდ 450 423 პირს. აღსანიშნავია, რომ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საარსებო შემწეობით ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების მოცვა.

ცხრილი 1. საარსებო შემწეობები

წელი (დეკემბერი)	სულ მიმღები	ბავშვები (18 წლამდე)	%	შშმ ბავშვები (18 წლამდე)
2012	501,445	124,767	24.9	2,736
2013	453,857	116,951	25.8	2,531
2014	421,387	107,835	25.6	2,313
2015	389,650	108,530	27.9	2,290
2016	476,084	146,403	30.8	2,907
2017	455,813	149,857	32.9	2,956

შესაბამისად, 2014 წელთან შედარებით (ძველი მეთოდოლოგიით შეფასებული ოჯახები), 2017 წელს 42 022 -ით მეტი ბავშვია (მათ შორის 643-ით მეტი შშმ ბავშვი) დაფარული საარსებო შემწეობით.

საარსებო შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირების დასაქმების მოტივაციის გაზრდის მიზნით შემოღებულ იქნა მინიმალური პირობითობები, კერძოდ, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირების შემდეგ ოჯახის არამომუშავე შრომისუნარიან წევრ(ებ)ს ვალდებულება აქვთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის ოჯახში ვიზიტის და სპეციალური ფორმის დოკუმენტის - „ოჯახის დეკლარაციის შევსებიდან“ არაუგვიანეს 30 დღეში დარეგისტრირდნენ „სამუშაოს მაძიებლად“ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე www.worknet.gov.ge, რათა მათ ჰქონდეთ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აქტიური ვაკანსიების, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების, დასაქმების ფორუმების შესახებ, გააქტიურდნენ შრომის ბაზარზე და შეიქმნას მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების წინაპირობები.
2017 წლის განმავლობაში უწყვეტად გრძელდებოდა მიზნობრივი ჯგუფების ფულადი დახმარებებით უზრუნველყოფა. მათ შორის, ასაკით პენსიის მიმღებთა რაოდენობამ 2017 წელს შეადგინა საშუალოდ 725.8 ათასამდე პირი, კომპენსაციის მიმღებთა რაოდენობამ - 21.6 ათასამდე პირი, ხოლო სოციალური პაკეტი მიიღო - 166.8 ათასამდე პირმა.
„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2016 წლის სექტემბრიდან მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პენსიონერთათვის და სოციალური პაკეტის მიმღებთათვის გაიცემა დანამატი პენსიის/სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. 2017 წლის განმავლობაში პენსიის/სოციალური პაკეტის დანამატი მიიღო საშუალოდ 77.6 ათასამდე პირმა.
ზემოაღნიშნული კანონის შესაბამისად, 2017 წლის იანვრიდან განხორციელდა აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50

პროცენტის ანაზღაურება, მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა. ელექტროენერგიის შეღავათით 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით ისარგებლა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებმა 71.3 ათასამდე აბონენტმა.

გარდა ზემოაღნიშნულისა „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ყოველთვიური ფულადი დახმარება გაიცა საშუალოდ 11.3 ათასამდე ბენეფიციარზე.

საქართველოს მთავრობისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ერთ–ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, რასაც ადასტურებს ამ სფეროში უკანასკნელ წლებში განხორციელებული ღონისძიებების მასშტაბებისა და ეფექტურობის ზრდა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ასევე, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობა ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში უზრუნველყოფილია სამოქმედო სტრატეგიების, გეგმების, პროგრამებისა და ღონისძიებების შემუშავებისას. სოციალური მომსახურებების განვითარება ემყარება ბენეფიციართა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მოეგებულ ხარისხიანი მომსახურების ხელმისაწვდომობის პრინციპს, კერძოდ: შშმ პირთათვის გათვალისწინებული მომსახურებები იგეგმება და ხორციელდება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის” სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დადასტურებული და გამოვლენილი საჭიროებებისა და არსებული პრიორიტეტების გათვალისწინებით. სახელმწიფო შშმ პირებისათვის ყოველწლიურად ახორციელებს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამას, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან სხვადასხვა სერვისებითა და მომსახურებებით. სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისები და გარანტიები ხელმისაწვდომია და ყოველგვარი შეზღუდვისა და გამონაკლისის გარეშე მოქმედებს ქვეყანაში. ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაჩნდა სრულიად ახალი სერვისები: „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამა”, „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა”, „მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამა, რომლის ამოცანაა ჩვილ ბავშვთა სახლში მყოფი მზრუნველობამოკლებული მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების სპეციალიზებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსება და მათი ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში მოვლა და აღზრდა. „სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამას“ 2017 წლიდან დაემატა სრულიად ახალი კომპონენტი - შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით ურუნველყოფის კომპონენტი. „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტში განხორციელდა ახლი დამხმარე საშუალების - ელექტრო სავარძელ-ეტლით ბენეფიციართა უზრუნველყოფა, ხოლო კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტს დაემატა იმპლანტის ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაცია და ლოგოპედის (მეტყველების თერაპევტის) მომსახურება. საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტს დაემატა თვალის პროთეზის (სტანდარტული ან ინდივიდუალური) შერჩევა/დამზადებისა და მორგების (თვალის ღრუს ეგზოპროთეზირება) ღონისძიებები. ამასთან, რიგ მომსახურობებზე (მაგ. აბილიტაცია/ რეაბილიტაციის ქვეპროგრამა) გაიზარდა ფინანსური ხელმისაწვდომობა, მიმწოდებელთა რაოდენობა, დაფინანსებული კურსების რაოდენობა, პროგრამის მომწოდებელთა მომსახურების გეოგრაფული არეალი. გაუმჯობესდა და გაიზარდა პროგრამით გათვალისწინებული მიზნობრივი ჯგუფებისათვის ქვეპროგრამის ღონისძიებების ხარისხი და ეფექტიანობა, რის შედეგადაც შესაბამისად, გაიზარდა შშმ პირების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა პროგრამის ბიუჯეტი: თუ პროგრამის ბიუჯეტი 2012 წელს შეადგენდა 17 401 000 ლარს, 2017 წელს შადგენს - 23 000 000 ლარს. 2018 წელს - 28 000 000 ლარს. ამასთან, გაუმჯობესდა და გაიზარდა პროგრამით გათვალისწინებული მიზნობრივი ჯგუფებისათვის ქვეპროგრამების ღონისძიებების ხარისხი და ეფექტიანობა.

2013 წლის 26 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება, კონვენცია ძალაშია 2014 წლის 12 აპრილიდან. ამავე კონვენციის 35-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ კონვენციის ძალაში შესვლიდან 2 წლის შემდეგ, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ფორმატში, რომელსაც კოორდინაცია გაუწია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნომ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კომიტეტისადმი წარსადგენად მოამზადა აღნიშნული კონვენციის მოთხოვნების შესრულების პირველ ანგარიში, რომლის მიზანია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კომიტეტისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება შშმ პირთა უფლებების დაცვის კუთხით საქართველოში არსებული ვითარებისა და სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

კონვენციის რატიფიცირების შემდეგ სახელმწიფომ მყისიერად დაიწყო ამავე კონვენციით განსაზღვრული უფლებების განხორციელება და ამის თვალსაჩინო მაგალითია ქმედუუნარობის ინსტიტუტთან დაკავშირებული ის ძირეული რეფორმა, რომელიც ბევრი განვითარებული და მოწინავე ქვეყნისათან ერთად ერთერთმა პირველმა განახორციელა საქართველომაც.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ფსიქიური დაავადებების გამო შშმ პირების ქმედუნარიანობის შეზღუდვის არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, რამაც საფუძველი დაუდო ქმედუუნარობის ინსტიტუტის სისტემურ რეფორმას. განხორციელებული რეფორმის შედეგად „ქმედუუნარო პირის“ ნაცვლად ქვეყნის კანონმდებლობაში შემოვიდა ახალი „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის“ (მხარდამჭერის მიმღები) და მხარდამჭერის ცნებები. განხორციელებული ცვლილებების შედეგად ფსიქიკური პრობლემების მქონე იმ პირებს, რომლებიც მხოლოდ სამედიცინო დიაგნოზის საფუძველზე მიჩნეულნი იყვნენ ქმედუუნარო პირებად და შესაბამისად, შეზღუდული ჰქონდათ რიგი სამოქალაქო უფლებები (მათ შორის სამართლის სუბიექტად აღიარება, არჩევნებში მონაწილეობის უფლება, საკუთრების ფლობა, ფინანსების, ქონების განკარგვა უფლება და სხვა) ფსიქოსოციალურ ექსპერტიზის გავლისა და მხარდაჭერის მექანიზმების შემოღების გზით საშუალება მიეცათ დაიცვან და უკეთ განახორციელონ საკუთარი უფლებები საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში.

კონვენციის პრინციპებიდან გამომდინარე საქართველოს ევალება განახორციელოს შშმ პირის სტატუსის მინიჭების სისტემის ძირეული რეფორმა და სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის არსებული სამედიცინო მოდელის ნაცვლად შექმნას მექანიზმი, რომელიც შესაბამისობაში მოვა სოციალური მოდელის იმ პრინციპებთან, რომლითაც

გათვალისწინებულია ინდივიდუალური ფუნქციონალური შეფასება და საჭიროებებზე მორგებული გაუმჯობესებული სერვისებისა და გაზრდილი ბენეფიტების მიწოდება. ამ მიზნით, მოცემულ ეტაპზე გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით შექმნილია ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი. მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) ICF-ის ექსპერტებთან შეფასების მეთოდოლოგიასა და ბავშვების შეფასების ინსტრუმენტის შექმნისათვის.

2018 წლის გეგმები:

- სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისთვის ფულადი სოციალური გასაცემლების უწყვეტად გაგრძელება.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება.
- დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის გაგრძელება, შშმ ბავშვების რეინტეგრაციის ქვეპროგრამაში ჩართვისა და ალტერნატულ სერვისებში განთავსების ხელშეწყობა.
- ადრეული განვითარების და რეაბილიტაცია/აბილიატცაიის ქვეპროგამების გაუმჯობესებაზე და გაძლიერებაზე მუშაობა.

პატივისცემით,

სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი, ნინო ოდიშარია
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი